# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# განკარგულება

განკარგულება:**g-109.109251772**
თარიღი:**26/06/2025**

**„დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის Ng-109.109240882 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება „დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის Ng-109.109240882 განკარგულებაში და განკარგულების:

**ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანა განახორციელოს დმანისის მუნიციპალიტეტის შპს „დმანისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (ს/ნ 228928532).

**ბ) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების და გადახდის სისტემის დანერგვის წესის“ (დანართი N2):**

**ბ.ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული მგზავრობის ტარიფი ჩაირიცხოს დმანისის მუნიციპალიტეტის შპს „დმანისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ 228928532). ანგარიშზე და მიღებული შემოსავალი მოხმარდეს დმანისის მუნიციპალიტეტის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის უზრუნველყოფას.“

**ბ.ბ) მე - 5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ წესის მე-2 მუხლით დადგენილი კატეგორიებით განსაზღვრული უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირთა მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, უფლებამოსილი სუბიექტისათვის (ბარათის გამცემი) ან/და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ან/და შპს „დმანისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ შესაბამისი ინფორმაციის, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემების, მიწოდების/ დამუშავების უზრუნველყოფა ეთხოვოთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) ამ წესის მე-2 მუხლის “ა” პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურს.

ბ) ამ წესის მე-2 მუხლის “ბ” პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს.

გ) ამ წესის მე-2 მუხლის “გ” პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით სსიპ “განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.“

2. განკარგულება ძალაშია 2025 წლის 01 ივლისიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი